

საქართველოს რესპუბლიკა

ყოველკვირეული ზეგონი.
გამოდის 1990 წლის
მაისიდან

27 აგვისტო, სამშაბათი 30/63 '91

საქართველოს რესპუბლიკის შენიშნული საბჭოს საგანგებო სესია

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის სხდომა, რომელიც 27 აგვისტოს გაიმართა, ისტორიაში შევა როგორც „საგანგებო“. რა თქმა უნდა, ორი კვირისა და ორი დღის წინ არდადეგებზე წასვლისას, უზენაესი საბჭოს წევრები ვერც კი იფიქრებდნენ, რომ დროის ამ მოკლე მონაკვეთში მოხდებოდა ასეთი საოცარი ცვლილებები სულთნობრივი იმპერიის პოლიტიკურ ასპარეზზე, რომელსაც მოუწევდათ შეხვედრა პრაქტიკულად სხვა ეპოქაში. გადაილახა საშინელი უღელტეხილი ქვეყანაში ბოროტებისა და სიკეთის, ძალადობისა და სამართლიანობის, დიქტატურისა და დემოკრატიის ბრძოლაში, ქვეყანაში, სადაც თითქმის ორი თაობის ცხოვრების განვლილმა შელახული იყო უკვირდნენ ის, რაც შეადგინა ადამიანის ღირსეული ცხოვრების საფუძველს. ამო აღმოჩნდა იმეტი მცდელობა, ვინც უმწოდდა, მაგრამ ბოროტად ცდილობდა სიჭრტის მემკვიდრით გადაეღობა გზა ადამიანებისათვის თავისუფლებისკენ და კვლავ ჩაეთრია ისინი სიცრუისა და ძალადობის საზარელ მორევში. მათ თავიანთ განქარაველებაში ჰქონდათ უკვალადაც, რასაც ახლა რეალურ ძალას უწოდებენ, მაგრამ განგების ნება-სურვილით მოხდა ისე, რომ ისინი უმწოდნი და უსურვილი აღმოჩნდნენ ქუჩაში გამოსული შეუიარაღებელი ხალხის წინაშე... და ხალხმა გაიმარჯვა. რუსეთის დემოკრატიული ძალების სწორედ ეს გამარჯვება და მასთან დაკავშირებული მოვლენები გახდა პარლამენტის ახლანდელ სხდომაზე დებუტატთა სჯა-ბაანის საგანი.

წესრიგის პირველი საკითხის განხილვა, რომელიც ეხებოდა 1991 წლის 19-21 აგვისტოს მოვლენათა პოლიტიკურ შეფასებას. ამ საკითხზე გამოვიდა უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობათა კომისიის თავმჯდომარე თედო პაატაშვილი. კამათში დებუტატები ერთსულნი იყვნენ მომხდარი მოვლენების შეფასებაში, თუმცა რესპუბლიკის ხელმძღვანელობის პოზიციის გაკნაობისას მათი აზრი ყოველთვის როდი ემთხვეოდა ერთმანეთს. ზილებულ დაღვინილებას უზენაესი საბჭო, რომელმაც დაგმო დიქტატურისა და ტოტალიტარიზმის უკვირდვარი გამოვლინება, სამხედრო ძალის გამოყენება მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, მიესალმა რუსეთის დემოკრატიული ძალების შთაბეჭდვით გამარჯვებას, ქვეყნისას, რომელმაც მომავალში უნდა დააჩქაროს კომუნისტური რეჟიმის დემონტაჟი და საბჭოთა იმპერიის დაშლა. უზენაესი საბჭომ თანაგრძობა გამოუცხადა უთანასწორო ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახებს.

დებუტატებმა მიიღეს ეტონეთის, ლატვიის, უკრაინისა და რუსეთის უზენაესი საბჭოებისადმი მიხალმბათა ტექსტები, რომლებშიც გამოთქმულია მზადყოფნა, დაიწყოს მოლაპარაკება ამ ქვეყნის მთავრობებთან ოფიციალური სახელმწიფოებშორისი ურთიერთობის დამყარების შესახებ.

ახლა კი რაც შეეხება ჩვენთვის უკვლავ საუბრობოტოხა და მძიმე საკითხს. ამბობენ, რომ ადამიანს სიხსლით ნათესავენს ღმერთი აძლევს, მეგობრებს კი თვითონ ირჩევსო. ალბათ, სწორედ ამიტომ, თავს დატყვევდა უამრავი უბედურებიდან ქართველი ხალხი უკვლავ მეთად განიცდიდა თვისტომის განდგომას. ასეთები კი, სამწუხაროდ, არცთუ იხე ცოტანი უყოფილან, ჩვენი ტრაგიაში, თა და გმირობით აღსავსე ისტორიაში, და აი, სულ რამდენიმე დღის წინათ, როცა კვლავ ბედის მცდარი სანწორზე იყო ჩვენი ოცნებით ნალოლიავები და უკვე მკაფიოდ გამოკვეთილი თავისუფლება, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ გაუთ „ცხოვრების“ პირველ გვერდზე გვაცნობა, რომ იგი მხარს უჭერს დანაშაულებრივ ხუნტას, რაც, რა თქმა უნდა, ნიშნავდა იმას, რომ კომპარტია თანამშრომლობს ძალებთან, რომლებმაც 1917 წლის ოქტომბრის სიხსლიანი ხმალი იშეგულეს თავისუფლებისა და დემოკრატიის წინააღმდეგ.

სესიის დღის წესრიგში ეს უბედურება აღნიშნული იყო საქმიად კრიტიკულად „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, აფხაზეთის კომპარტიის რესპუბლიკური კომიტეტის, ყოფილი სამხრეთ ოსეთის, კომპარტიის საოლქო კომიტეტისა და ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის სახალხო დებუტატთა გაუქმებული საბჭოს თვითმარქვია აღმასრულებელი კომიტეტის მოქმედებათა შესახებ“.

დებუტატების — როგორც ანტიკომუნისტების, ისე კომუნისტების — გამოხვლებში მკაცრად იყო დაგმობილი საქართველოს კომპარტიის პოზიცია, რომელმაც იგი ფაქტობრივად დამნაშავე ორგანიზაციების გვერდით დააყენა.

უზენაესი საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლითაც აკრძალულია საქართველოს კომპარტია, უკვლა კომუნისტური გაერთიანების ფუნქციონირება, შეჩერებულია საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან დებუტატთა უფლებამოსილებანი. ამავე დროს დადგენილებაში აღნიშნულია, რომ დაუშვებელია მოქალაქეთა დევნა ან დისკრიმინაცია მათი კომუნისტური პარტიის წევრობის გამო.

ამით სესიის საგანგებო სხდომაში მუშაობა დაამთავრა.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება


ბ. პ. გუგუშვილის საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრად დანიშვნის შესახებ
დანიშნულს ბესარიონ პაატას ძე გუგუშვილი საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვინალ გამსახურდია.**
თბილისი. 1991 წლის 26 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

ბ. პ. გუგუშვილის საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრად დამტკიცების შესახებ
დამტკიცდეს ბესარიონ პაატას ძე გუგუშვილი საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აპაკი ასათიანი.**
თბილისი. 1991 წლის 26 აგვისტო.



ბესარიონ პაატას ძე გუგუშვილი ეროვნებით ქართველია. დაიბადა 1945 წლის 6 მაისს აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ოჯახში. 2968-1968 წლებში სწავლობდა თბილისის უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე, ფინანსებისა და კრედიტის სპეციალობით, 1968-1967 წლებში თბილისის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე აღმოსავლეთის ქვეყნების ქვეყანათმცოდნეობის, თურქეთის ისტორიის სპეციალობით. 1967-1970 წლებში ვაიარა ასპირანტურის კურსი თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრაზე სპეციალობით — საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფია. 1967-1970 წლებში სწავლობდა თბილისის უცხო ენების ინსტიტუტში ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობით.

1971 წელს დაცვა დიპლომატიის მრეწველობის პრობლემებზე მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. 1971-1978 წლებში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასისტენტად. 1978 წლიდან მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგის სამეცნიერო ინფორმაციის ცენტრში, ჯერ ეკონომიკის განყოფილების გამგედ, შემდეგ ამ ცენტრის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში. კითხულობს ლექციებს თბილისის უნივერსიტეტში სახალხო მეურნეობის დაგეგმვის, საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკის, ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის დისციპლინებში. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები ეკონომიკისა და ინფორმაციის დარგებში. არის საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში საქართველოს აკადემიკოსად დასახელების მთავარი კონსტრუქტორი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კომპიუტერისა და ინფორმაციის სამეცნიერო საბჭოს წევრი. 1990 წლის დეკემბრიდან მუშაობდა საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილედ, სახელმწიფო კინოკორპორაციის პრეზიდენტად.

მუავს მრავალ დე ორი ვაფივილი.

პაატა ცინცაქი,
თენგიზ ბრიგალაშვილი,
საქინფორმის საპარლამენტო
კორესპონდენტები.

იმოქმედებს რა უკეთესი, საბაზრო პრინციპით — გაზრდის პროდუქციის მოცულობებს; ხოლო კერძო სექტორი კი შექმნის რა ახალ წარმოებრივ სიმძლავრეებს და დაეუფლება ჯარაენტაბელურ სახელმწიფო საწარმოებს — პროდუქციის საერთო მოცულობას კიდევ უფრო მოუმატებს.

საზოგადოებრივი და პრივატული სექტორების განვითარება პარალელურად უნდა ხდებოდეს, ორივე სისტემისათვის თანაბარი ეკონომიკური პირობების შექმნისა და მათი თავისუფალი, კონკურენტული შეჯიბრის ვითარებაში და არა რომელიმე მათგანისათვის პრივილეგირებული ან დაკაბალებული მდგომარეობის შექმნით. მხოლოდ ასეთ ვითარებაში შემოწმდება პრაქტიკულად თუ წარმოების რომელ დარგში და რომელ სფეროშია უმჯობესი ესა თუ ის სექტორი.

ეკონომიკური პოლიტიკის სპეციალური ღონისძიებები უნდა გამოვიმუშავოთ იმისათვის, რათა მოხდეს სოციალ-იმპერიალისტური ეკონომიკის რღვევისას, ეკონომიკური აგრესიისა და საბოტაჟის დროს გამძაფრებული და პრივატიზაციის პროცესში მოსალოდნელი უარყოფითი მოვლენების მნიშვნელოვანი განეიტრალება (ქურდობა, რეკეტი, დატაცება, მექრთამეობა, სპეკულაცია, პარაზიტული ოპერაციები და სხვ.), რომლებიც არსებით სირთულეებს შეგვიქმნიან მანამ, სანამ ცოცხალია მახინჯი იმპერიული, კოლონიური ეკონომიკისა და შესაბამისი ეკონომიკური ურთიერთობების გადმონაშთები. ამისათვის პრივატიზაციის ჩატარებას თან უნდა ახლდეს ამ პროცესის საჯაროობა, სისტემატური და ობიექტური ეკონომიკური ანალიზი. განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო იმ საწარმოთა პრივატიზაციისას, რომლებსაც მონოპოლისტური მდგომარეობა აქვთ (ასეთები კი ჩვენსავით მცირე ქვეყანაში ძრავლადაა), მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ მოსახლეობის ცხოვრების დონეს, ფასების მოძრაობას და ამით შესაძლებელია უარყოფითი გავლენა მოახდინონ მოსახლეობის ფართო ფენების ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მით უმეტეს კვებისა და ფართო მოხმარების საგნების მკვეთრი დეფიციტის პირობებში.

ეკონომიკური რეფორმების, განსაკუთრებით კი პრივატიზაციის განხორციელების დროს გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ ეკონომიკურ პროცესებს თავისი შინაგანი, ბუნებრივი ტემპები გააჩნიათ და მათ იძულებით დაჩქარებას ან შენელებას არასასურველი შედეგები მოჰყვება, ასეთივე შედეგები მოჰყვება ეკონომიკური წყობის უხეშ, მოუზომელ და მძაფრ შეცვლასაც — თუნდაც თეორიულად უკეთესი წესწყობილებისაკენ.

გარდამავალი პერიოდის პირველ ნაწილში ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი გახდება საგანგებო მოკლევადიანი კომპლექსური პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მინიმუმით გათვალისწინებული კვებისა და ძირითადი სამომხმარებლო საქონლით სტაბილური უზრუნველყოფა.

თავისთავად იგულისხმება, რომ მთელი გარდამავალი პერიოდის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ქმედითი და ეფექტური ღონისძიების დაგეგმვასა და გატარებას მოსახლეობის იმ ფენების დასაცავად, რომლებსაც მცირე შემოსავლები აქვთ, ხეიბრებისა და ინვალიდებისათვის, უბუშევრად დარჩენილებისათვის, რაც დიდ სახელმწიფო ფინანსურ რესურსებს მოითხოვს.

გარდამავალი პერიოდის შუახანებიდან კი, შესაძლებელია და განსახორციელებელი გახდება ისეთი მასშტაბური პროგრამები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ეკონომიკის საკვანძო დარგების პრიორიტეტული შექმნა — განვითარება, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოვება და სხვ. ეს გულისხმობს ისეთ ღონისძიებებს, როგორცაა — ეროვნული საბანკო სისტემის შექმნა და ეროვნული ფულის შემოღება; მოქნილი და ეფექტური საგადასახადო სისტემის დახერგვა; რეგიონული, ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურების განმტკიცება და მრავალი სხვა.

საქართველოს ეკონომიკური განახლების კონცეფციის პრობლემათა ამ მოკლე ჩანონათვალის ბოლოს, რაც თაობთა ნააზრვეის ესტაფეტამ და მოვლენათა განვითარებამ ჩვენს დღის წესრიგში დააყენა, უნდა ჩამოყალიბდეს კატეგორიული მოთხოვნა იმისა, რომ ყოველი ღონისძიების პროექტს (საკანონმდებლო იქნება იგი თუ პრაქტიკული), უნდა ახლდეს დაწვრილებითი და საკონტროლო ციფრებით დასაბუთებული პროგნოზი მისი ზეგავლენისა ეკონომიკისა და სოციალურ სფეროზე საერთოდ, მოსალოდნელი, უარყოფითი შედეგებისა და მათი დაძლევის გზების მითითებით. აქ ათჯერ უნდა მოვზომოთ და თუ აუცილებელი და უსაფრთხო არ არის — არ უნდა მოვჭრათ. ღონისძიებების რეალიზაციის პროცესში, მისი შედეგები სისტემატურად უნდა დარდებოდეს პროგნოზს და იმ შემთხვევაში, თუ გამოიკვეთება პროგნოზსა და რეალურ შედეგებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება, ღონისძიებანი უყოყმანოდ და სასწრაფოდ უნდა შეჩერდეს.

აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული, რომ ნებასმიერ ფასად საკუთრივ უშალლესი ეკონომიკური ეფექტურობის მიღწევა არ უნდა გახდეს ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის თვითმიზანი და რომ საბოლოო მიზანი გაცალკებით უფრო ფართოა — საქართველოს მოქალაქეთა ფართო ფენების ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური, სულიერი და კულტურული ღონის ამაღლება.

ბესარიონ გუგუშვილი.